სასოფლო გაზეთი

გაზეთის ფასი:

გაგზავნით ტფილისში და გარეშე ადგილებში:		გაუგზავნელათ: მან.
ერთის წლისა	— 7 მან.	— 6
ნახევრის წლისა	— 4 —	— 3 — 50 კ.
სამის თვისა	— 2 მ. 50 კ.	— 2 —

პირველი წელიწადი

გამოდის სამშაბათობით.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისის „სასოფლო გაზეთის“ რედაქციის კანტორაში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში, **ხანის** ქუჩაზედ, თ. ბებუთოვის სახლში, პოლიციის გვერდით.

ტფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ контору редакціи „СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ“, при типографіи Меликова и К-°.

ყოველ გვარი განცხადებანი სასოფლო სასამართლოებისა და აგრეთვე გლეხებისა დაიბეჭდება უფასოთ, და უნდა გამოიგზავნოს გაზეთის კანტორაში, რომელიც იმყოფება ტფილისში, მელიქიშვილის და კამპ. სტამბაში.

№ 19. სამშაბათი. I. 9 ივლისს 1868 წ.

შინაარსი. ოფიციალური ნაწილი: განცხადება ტფილისის უეზდის ნაჩალნიკისაგან. წესდება სოფლის საზოგადოებათა.—არა ოფიციალური ნაწილი: სამეურნეო ნაწილი: ნაცრით ავათმყოფობის მორჩენა.—სასუქის შენახვაზედ.—სამეურნეო ცნობანი: ყურძენს რარიგათ არგებს გოგირდი.—სიცივის მავნებელობა ფურზე.—ღორის საჭმლის გავლენა ღორის ხორცის თვისებაზე.—ცხენის ხორცის ჭამის და ღორის საჭმლათ გამოყენება.—უზარმაზარი კიტრი.—ცხენის წლოვანობის შეტყობა.

ОФИЦІАЛЬНЫЙ ОТДѢЛЪ

ОБЪЯВЛЕНІЕ.

Тифлисское Уѣздное Управленіе объявляетъ, что Господинъ Тифлисскій Губернаторъ предписаніемъ отъ 31 Мая за № 4068 предложилъ къ оглашенію выборовъ на сельскія должности лицъ по Тифлисскому уѣзду на новое съ 1869 года трехъ-лѣтіе, приступить съ начала осени сего года и таковыя окончить скорѣе и выборные листы представить къ нему непременно къ 1-му ноября, что и будетъ исполнено со стороны Уѣзднаго Управленія. Іюня 26 дня 1868 г.

Тифлисскій Уѣздный Начальникъ

Кн. Тумановъ

ოფიციალური ნაწილი.

განცხადება.

ტფილისის უეზდის სამმართველო აცხადებს, რომ უფალმა ტფილისის გუბერნატორმა მაისის 31 მოიწერა, რომ მომავალი სამი წლისათვის 1869—დგან სოფლის მოხელეების ამორჩევა გამოცხადდეს, დაიწყოს ამ წელს შემოდგომაზე და მალე გათავდეს; ამორჩევის ფურცლები უეჭველათ გიორგობისთვის დამდეგამდის (პირველამდის) გუბერნატორთან წარედგინოს. ეს ყოველი ასრულდება უეზდის სამმართველოსაგან. თიბათვის 26, 1868 წ.

ტფილისის უეზდის ნაჩალნიკი თა. თუმანოვი.

შენიშვნა. სოფლის საზოგადოებათ წესდებათ ჩვენს გაზეთში იმ განზრახვითა ვბეჭდავთ, რომ სადაც ეს გაზეთი ეგზავნებათ ყველგან ჰქონდესთ ეს წესდება, რომელიც დიდათ საჭირო რამ არის სოფლისათვის. აქ უნდა მოვიხსენოთ, რომ წესდებას ისე ვბეჭდავთ ქართულათ ნათარგმნსა, როგორც მმართებლობისაგან იყო გამოცემული რუსულ ნამდვილთანა, და სრულათ დაიბეჭდება ამ გაზეთის რამდენსამე ნომერში.

რედ.

ნამდვილზედ აწერია:
„ვამტკიცებ“.
ნამესტნიკი კავკასიისა,
ღენერალ-ფელდცეიხმეისტერი „მიხაილ“.
ტფილისში,
11 აპრილსა 1865 წელსა.

წეს-დება

სოფლის საზოგადოებათა, მათის სასოფლო მმართველობისა და სახელმწიფოთა და სასოფლოთა გარდასახადთათვის

ტფილისის გუბერნიაში.

1. ამ წეს-დებით განისაზღვრება: პირველად, თუ როგორ უნდა დაწესდნენ სოფლის საზოგადოებანი და იმათი სასოფლო მმართველობა ტფილისის გუბერნიაში, და მეორედ—თუ როგორ უნდა აღსრულდნენ იმათაგან სახელმწიფო და სასოფლო გარდასახადნი.

ნაწილი პირველი.

დაწყება სოფლის საზოგადოებათა და იმათის სასოფლოს მმართველობისა.

თავი პირველი.

შედგენა სოფლის საზოგადოებათა.

2. სოფლის საზოგადოება შესდგება ყოველთა ერთს სოფელში დასა-

ხლებულთა გლეხთაგან, რომლის უწყებისაც ანუ წოდებისაც უნდა იყვნენ იგინი: სახელმწიფონი, თუ საეკკლესიონი, თუ დროებით-ვალდებულნი, ესე იგი გლეხნი ყმობიდგან გამოსულნი და ჯერეთ კიდევ დარჩენილნი, მიწის გამო, ვალდებულებაში მებატონეებთან.

შენიშვნა. ნემეცები, რომელნიც არიან ტფილისის გუბერნიაში დასახლებულნი საკუთარს კალონიებად და აქვსთ თავიანთი საკუთარი გაწყობილობა და მმართველობა, ამ წეს-დებაში არ შემოვლენ.

3. მცირე-ხალხიანნი ანუ მომცრო სოფლები, ეგრეთვე სოფელ გარეთ გაცალკევებით მდგომნი კომლნი, შეერთდებიან ერთს სოფლის საზოგადოებად, ანუ მიერთვიან სხვათა მახლობელთა სოფლის საზოგადოებათა, ადგილობითის საჭიროების მიხედვით.

შენიშვნა. შეერთება მომცრო სოფელთა და გაცალკევებულთა კომლთა ერთ სოფლის საზოგადოებად, ანუ ზედ-დართვა იმათი სხვა მახლობელთ სოფლის საზოგადოებათადმი, მიენდობა გუბერნატორის განკარგულებას, კავკასიის ნამესტნიკის დამტკიცებით.

4. გლეხნი, სხვა და სხვათ უწყებათადმი კუთვნილნი და ერთ სოფლის საზოგადოებაში შემოსულნი, შეადგენენ იმასში თავ-თავისად კერძოობითთა გლეხთ საზოგადოებათა და დაიცვენ იმავ დამოკიდებულებასა თავიანთ მთავრობათაგან, რომელშიაც არიან იგინი დღეს.

შენიშვნა. დროებით-ვალდებულნი გლეხნი, ვიდრე გაჰსწევს იმათი ვალდებულობითი დამოკიდებულობა მებატონეებთან, რომელთაც მამულზედ არიან ისინი დასახლებულნი, შემოვლენ მიროვის პოსრედნიკებისა და გუბერნიის საგლეხო საქმეთ პრისუტსვიის უწყებასა ქვეშე, ძალითა საკუთართა კანონთა და წეს-დებათა ამ გლეხთათვის გამოცემულთა.

თავი მეორე.

შედგენა სასოფლოს მმართველობისა.

5. სასოფლოს მმართველობას შეადგენენ:

1) სოფლის სხოდი, ანუ ყრილობა.

2) სოფლის სტარშინა, ანუ მამასახლისი. და

3) სოფლის საგლეხო სუდი, ანუ სასამართლო.

მამასახლისს, საკუთარს განკარგულებაში, დაენიშნებიან სოფლის საზოგადოებისაგან გზირები, რავდენნიც საჭიროდ აღმოსჩნდებიან. გარდა ამისა, საზოგადოებაზეა დამოკიდებული, იყოლიოს მეველეები, მერუეები და სხვანი.

6. როდესაც სოფლის საზოგადოებას შეადგენს დიდ-ხალხიანი სოფელი ანუ რავდენიმე მომცრო სოფლები, მაშინ აირჩევიან მამასახლისის თანა-შემწეები ანუ ნაცვლები, რავდენნიც ნამდვილად საჭირონი იქმნებიან. ნაცვლები აირჩევიან მაშინაც, როდესაც სოფლის საზოგადოება შეჰსდგება რაოდენთამე კერძოობითთა საზოგადოებათაგან (მუხლი 4), და ეს საზოგადოებანი მოინდომებენ იყოლიონ თავიანთი დაახლოებულნი პირნი ნაცვლებად.

შენიშვნა. ნაცვალს შეიძლება მიენდოს ხარჯის მოკრეფის მოვალეობაცა. მაგრამ ეს მოვალეობა შეიძლება მიენდოს ყველა სხვა პირსაცა, სოფლის საზოგადოების მიხედვით.

განყოფა პირველი.

სოფლის ყრილობათათვის.

7. სოფლის ყრილობას შეადგენენ ყოველნი, რა სარწმუნოებისაც უნდა იყვნენ, სრულ-ჰასაკოვანნი გლეხნი—სახლთ-მეუფროსენი, რომელნიც ეკუთვნიან სოფლის საზოგადოებას და ირიცხებიან კამერალნის აღწერით ცალკეს კომლად, და, იმათ გარდა, ყოველნი აღმორჩეულნი სოფლისაგან მოხელენი პირნი. არ აღეკრძალება სახლის-მეუფროსეს, როდესაც იმყოფებოდეს სხვაგან ანუ ავათ, ანუ ერთობ არა შეეძლოს პირის-პირ ყრილობაში მისვლა, გაგზავნოს თავის მაგიერ ვინმე თავისის სახლობიდგან.

შენიშვნა. ყრილობაში არ მიიშვებიან გლეხნი: პირველად—რომელნიც არიან გამოძიებისა და სამართლის ქვეშე ესრეთთა შეცოდვილებათა და დანაშაულობათა გამო, რომელთათვისაც დამნაშავენი მოკლებულ-იქმნებიან კანონით ყოველთა უფლებათა და პატივთაგან, პირის-პირ და წოდებით მათდა მათვისებულთა, და მეორედ—რომელნიც არიან მიცემულნი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ.გარდაწყვეტილობითა სამსჯავროთა ადგილთა.

8. პირველი ადგილი სოფლის ყრილობაში და დაცვა მასში ჯეროვანის რიგისა ეკუთვნის სოფლის მამასახლისსა. მაგრამ როდესაც განიხილვებიან მამასახლისის ანგარიშები, მაშინ პირველი ადგილი სოფლის ყრილობაში დაეთმობა ერთ-ერთს ნაცვალსა, სადაც ნაცვლები დაწესებულ არიან (ნახე მუხლი 6), ერთმანერთის თანხმობით, და თუ თანხმობა არ მოხდა—-უფროსსა მათგანსა ხნით. სადაც არ იქნება არც ერთი ნაცვალი, იქ პირველს ადგილს სოფლის ყრილობაში, მამასახლისის ანგარიშების განხილვის დროსა, დაიჭერს, იმავე რიგობით, ერთ-ერთი სოფლის სუდია ანუ მოსამართლე (მუხლი 32).

9. სოფლის ყრილობა დაინიშნება, საჭიროების მიხედვით, მამასახლისისაგან, უფრო კვირაობით ანუ უქმეს დღეობით.

10. უეზდის ანუ ოკრუგის ნაჩალნიკიც უბრძანებს მამასახლისსა ანუ სხვა მოხელე პირსა, როდესაც საჭიროება მოითხოვს, შეჰყარონ სოფელი

შენიშვნა. ნება ესე მიეცემა მიროვის პოსრედნიკსაცა იმ სოფლის საზოგადოებაში, რომელიც არის შედგენილი საკუთრივ დროებით-ვალდებულთა გლეხთაგან, ანუ რომელშიაც გლეხნი ესე შეადგენენ ნახევარზედ უმეტესს სხვათა უწყებათა გლეხთა, ესე იგი სახელმწიფოთა და საეკკლესიოთა.

11. სოფლის ყრილობის უწყებას ეკუთვნიან:

1) არჩევა სოფლის მოხელეთა პირთა, რომელნიც სოფლის ყრილობით აირჩევიან;

2) განშორება სოფლის საზოგადოებითგან სავნებელთა და ბიწიერთა გლეხთა; დროებითად გამორიცხვა ყრილობიდგან გლეხთა, არა უმეტეს კი სამის წლისა;

3) აპეკუნებისა და მზრუნველების დანიშვნა; იმათის მოქმედების შემოწმება;

4) გარდაწყვეტა საოჯახო გაყრათა;

5) განკარგულება საზოგადოობითთა ანუ სასოფლოთა მამულთა გამო, რომელნიცა ეკუთვნიან მრთელს სოფლის საზოგადოებას და

იმყოფებიან საერთოს მცხოვრებთ მფლობელობაში, ესე იგი: ცარიელი ანუ საძოვარი მიწები და სხვა ამ გვარი ადგილები;

6) რჩევა და შუამავლობა სოფლის საჭიროებათა გამო, ესე იგი კეთილ-გაწყობაზე, ხელის-გამართვაზე, წიგნის-სწავლაზე და სხვანი;

7) თხოვნისა და საჩივრების შეტანა, სადაც ჯერ-არს, სასოფლო საქმეებისა გამო და დანიშვნა სანდო კაცთა წასვლა-მოსვლისათვის ამ საქმეებზე;

8) ფულის მოგროვება ერთმანერთში სასოფლოთ ხარჯთათვის;

9) გაწერა სახაზინოთა და სათემოთა (ზემსკისა) ხარჯთა და გარდასახადთა კერძოობითთ საზოგადოებათა შორის, რომელნიცა შემოვლენ ერთის სოფლის საზოგადოების წრეში, ეგრეთვე გაწერა სასოფლოთა გარდასახადთა მრთელს სოფლის საზოგადოებაზედ, და დაწესება ანგარიშისა ამა ხარჯთა და გარდ სახადთა გამო;

10) შემოწმება მოქმედებათა და განხილვა ანგარიშებისა სოფლის მოხელეთ პირთა, ეგრეთვე დანიშვნა მათდა ჯამაგირისა ანუ სხვა მისაგებელისა იმათის სამსახურისათვის;

11) მიღება ღონის-ძიებისა, რომ არ დარჩეს გამოურთმეველი ხარჯი და გარდასახადი, და გამოირთვას კიდეც ისინი;

12) სესხება სასოფლოს პურის მაღაზიებიდგან პურისა, სადაც არის მაღაზიები გაწყობილი, და სხვა კიდევ ყველანაირი ხელის გამართვა, და

13) გარდაწყვეტა ყოვლისა იმა შემთხვევაებისა, როდესაც, საზოგადოს ანუ საკუთარის გლეხებზედ გამოცემულის კანონებითა, გინა მმართებლობის შინაგანის განკარგულებითა, მოითხოვების რაზედმე თანხმობა ანუ ნება დართვა სოფლის საზოგადოებისა.

12. სოფლის ყრილობას შეუძლია აარჩიოს და დაადგინოს გარდაწყვეტილობა მხოლოდ იმ საგნებზედ, რომელნიც არიან მოხსენებულნი წინამავალს 11-ს მუხლში. უკეთუ ყრილობამ მოახდინა სჯა და დაადგინა გარდაწყვეტილობა არა კუთვნილს მისის უწყებისადმი საგანზედ, მაშინ გარდაწყვეტილობა შეირაცხების უქმად, ხოლო პირთა იმის შემდგენთა, და თვით ყრილობის თავისთავად შემკრებთა, საქმის მიხედვით: ანუ გარდაჰხდებათ გუბერნიის მთავრობის განკარგულებითა, ანუ მიეცემიან იგინი სამართლსა.

13. სოფლის ყრილობის გარდაწყვეტილობანი მხოლოდ მაშინ შეირაცხვიან კანონიერად, როდესაც ყრილობაში ყოფილან დამსწრე მამასახლისი ანუ იმის მონაცვლე (მუხლი 8) და უეჭველად ნახევარი რიცხვი სახლის-მეუფროსეთა, რომელთაცა აქვთ უფლება ყრილობაში დასწრობისა, და როდესაც ამასთანავე ყრილობის გარდაწყვეტილობანი შეეხებიან საგანთა იმის განსჯისადმი კუთვნილთა.

14. საქმეები სოფლის ყრილობაში გარდაჰსწყდებიან: ანუ საზოგადოს თანხმობითა, ანუ მეტის ნაწილის ხმითა.

15. თვითოს სახლის-მეუფროსეს გლეხსა ყრილობაში დამსწრესა აქვს თვითო ხმა.

16. საჭიროა თანხმობა არა უმცირეს ორის მესამედის რიცხვისა ყოველთა გლეხთა, ყრილობაში ხმის მქონეთა, გარდასაწყვეტელად შემდგომთა საქმეთა:

1) განსაშორებლად საზოგადოებიდგან საეჭველთა და ბიწიერთა გლეხთა მისადმი კუთვნილთა;

2) გარდასაწყვეტელად საოჯახოთა გაყრათა;

3) განსაგებელად სასოფლოთა მიწათა, მყოფთა სოფლის საზოგადოების საერთოს მფლობელობაში ანუ სარგებლობაში, და

4) შესადგენელად ნებაყოფლობით საზოგადოობითთა ფულის თანხათა და მოსახმარებლად ამა ფულისა.

შენიშვნა 1. გარდაწყვეტილობანი განსაშორებლად საეჭველთა და ბიწიერთა კაცთა დროებით-ვალდებულთ გლეხთაგანთა წარჰსდგებიან მამასახლისისაგან, თავდაპირველად, მიროვის პოსრედნიკთან; მიროვის პოსრედნიკიცა უკეთუ დაინახავს სოფლის გარდაწყვეტილობაში განკარგულებასა დაწესებულთ კანონთადმი წინააღმდეგსა, ანუ დროებით-ვალდებულთ გლეხთა კეთილმდგომიარობისათვის საეჭველსა, ანუ მებატონის უფლების დამარღვეველსა, მაშინ შეაყენებს ამ გვარის გარდაწყვეტილობის აღსრულებასა და წარადგენს მას, თავისის ჰაზრით, გუბერნიის საგლეხო საქმეთ პრისუტსტვიეში.

შენიშვნა 2. საეჭველნი და ბიწიერნი ერთობ გლეხნი, რომელნიც სოფლის გარდაწყვეტილობით დანიშნულ იქმნებიან განსაშორებლად საზოგადოებიდგან, უნდა დაჰშთნენ, ვიდრე დამტკიცდებოდნენ ესე გარდაწყვეტილობანი დაწესებულის რიგით, მახლობელ ზედამხედველობის ქვეშე თვითვე საზოგადოებათა, და რათამცა არა მიაყენონ-რა იმათ ვნება თავიანთ ერთ-მესოფლეთა, ჯავრის გამო, შეიძლება, თუ აღმოჰსჩნდა საჭიროდ, შეპყრობილ-იქმნენ ტუსაღად სოფლის მმართველობაში, ხოლო თუ რომ დაეტყოთ მათ განძრახვა გაქცევისა, წარიგზავნნენ კიდეც, ჯეროვანის მთავრობის ნებადართვითა, მახლობელს ქალაქის საპყრობილეში.

17. სხვა საქმეები გარდასწყდებიან ყრილობაში განსაჯულობითა იმ გლეხთა, რომელთაც მხარეს აღმოჰსჩნდება, რიცხვით, თუნდ რომ ერთი ხმა მეტი მრთელს ნახევარზედ ყველათ დამსწრეთა ყრილობაში გლეხთა. ხოლო უკეთუ ყრილობა გაიყოს ორს თანასწორ ნაწილად ხმების რიცხვითა, მაშინ დაჰსძლევს ის მხარე, რომელთანაც თანახმა იქნება მამასახლისი.

18. ხმები მოგროვდებიან: ანუ დაყენებით მთელის ყრილობისა ორს ნაწილად და დათვლით ხმათა თვითოეულს მხარეზედ მყოფთა, გინა სხვას რიგით, როგორიც რა ჩვეულება მიღებული სოფლის მცხოვრებთა შორის.

19. სოფლის ყრილობის გარდაწყვეტილობანი საქმეთა გამო, 16-ს მუხლში მოხსენებულთა, უნდა შეჰსდგნენ წერილით, თუმცა ამაზედ საკუთარი რაიმე ფორმა არა დაწესდება-რა.

20. საჩივრები სოფლის ყრილობის განაჩენზედ მიეცემიან ადგილობითის უეზდნის ანუ ოკრუჟნის ნაჩალნიკისადმი, ვისდამიცა კუთვნილ იქმნება, წარსადგენელად გუბერნატორთან.

შენიშვნა. საჩივრები სოფლის ყრილობის განაჩენზედ სოფლის საზოგადოებაში, რომელსაც შეადგენენ საკუთრივ ანუ ნახევარზედ მომატებით დროებით-ვალდებულნი გლეხნი, შეიტანებიან მიროვის პოსრედნიკთან, რომელიც წარუდგენს ამ საჩივრებს გუბერნიის საგლეხო საქმეთ პრისუტსტვიის მხედველობასა.

21. მცირე-ხალხიანთა სოფელთა, აგრეთვე კერძოთ გლეხთ საზოგადოებათა, რომელნიც შეადგენენ სოფლის საზოგადოებასა, მი-

ეცემათ ნება, საზოგადოს ყრილობის გარდა, შეიყრებოდნენ-ხოლმე ცალკეცა, კერძოს ანუ შინაურის ყრილობითა, მოსალაპარაკებლად იმ საგნებზედ, რომელნიც შეეხებიან საკუთრივ იმათ საზოგადოს სარგებლობას. ეს საგნები იქმნებიან:

1) საქმეები სარგებლობისა და განწილვისა გამო მიწათა, რომელნიც იმყოფებიან ცალკეს იმა სოფელთა ანუ კერძოობითთ გლეხთ საზოგადოებათა სარგებლობაში;

2) შინაური თავიანთ შორის გაწერა, რაც რომ იმათ შეჰხვდებათ სახაზინო და სათემო (ზემსკის) ხარჯი და გარდასახადი;

3) ბეჯითობა, რომ ეს ხარჯი და გარდასახადი არა დარჩეს დროზედ შეუტანელი, და შეტანილ იქმნას კიდეც ვადაზედ;

4) მირთმევა, სადაც ჯერ-არს, საჩივართა და თხოვნათა საქმეთა გამო, რომელნიცა შეეხებიან საკუთრივ იმა სოფელთა ანუ იმა კერძოობითთ გლეხთ საზოგადოებათა, დანიშვნა ამის გამო მინდობილთა კაცთა და მიცემა მათდა რწმუნების წერილებისა;

5) საქმეები, რომელნიც საკუთარის დაწესებაებით მინდობილ-არიან ცალკეთ უწყებათ გლეხთ საზოგადოებათადმი, და

6) წინასწარი მოლაპარაკება ისეთს საქმეებზედ, რომელნიც უნდა იყვნენ განსაჯულნი საერთოს სოფლის ყრილობაში (მუხლი 11).

შენიშვნა 1. ზარდა ამ მუხლში ნაჩვენებთა შემთხვეევათა, დროებით-ვალდებულთ გლეხთა შეუძლიათ მოილაპარაკონ, შინაურს ყრილობაში, მოხმარებისა გამო იმ საბახიროსი და საძოვრისა შინაურის და სამუშაოს საქონლისათვის, რომლებიც აქვთ საერთოდ მებატონესთან.

შენიშვნა 2. მოლაპარაკება შინაურს ყრილობაში მოხდება ისე, როგორც გლეხნი თვითვე დაინახვენ მარჯვედ, და ამის გამო საკუთარი რიგი არა წარეწერებათ რა.

ზანყოფა მეორე.

მოვალეობათათვის სოფლის მამასახლისისა და სხვათა სოფლის მოხელეთა პირთა.

22. სოფლის მამასახლისი პასუხის-მგებელია დაცვისათვის ერთობ რიგისა და მშვიდობიანობისა სოფლის საზოგადოების სამძღვართა შინა. ამ შემთხვევაში იმის-სრულს მორჩილებაში იმყოფებიან ნაცელები (მუხლი 6).

23. მამასახლისის უწყებას ქვეშ შემოველენ ყოველნი, მცხოვრებნი სოფლის საზოგადოების სამძღვართა შინა, პირნი ხარჯისმიმცემთ წოდებისანი, აგრეთვე გადამდგარნი და უვადოთ-დათხოვნილნი მდაბალის ხარისხის სამხედრო პირნი და იმათნი სახლობანი.

შენიშვნა. აქედგან გამოირიცხებიან მხოლოდ მებატონეთთან შინა-მხლებელნი და სხვანი მცხოვრებნი იმათ სახლ-კარში პირნი. უკეთუ ამ პირთაგან წარმოჰსდგა რაიმე ურიგობა სოფლის საზოგადოების სამძღვართა შინა, მაშინ მამასახლისი წარუდგენს დამნაშაეთა მებატონესა, ხოლო სასისხლოს შეცოდვილებისათვის ანუ მძიმეს დანაშაულობისათვის წარუდგენს ზემსკის პოლიციას, საზოგადოს წესით.

24. მამასახლისი ვალდებულია, პოლიციურთ საქმეთა გამო, სოფლის მმართველობის უწყებასა შინა:

1) გამოაცხადოს, მთავრობის მოწერილობით, კანონნი და მმართებლობის განკარგულებანი, და თვალ-ყური ეჭიროს, რომ არა განერცელებულ იქმნენ გლეხთა შორის მოგონილი უქაზები და საენებელი საზოგადოს მშვიდობიანობისათვის ხმები;

2) იზრუნოს დაცვისათვის სახალხოთა ადგილთა შინა რიგისა, ეგრეთვე უშიშრობისათვის პირთა და ქონებათა აეთ მოქმედებათაგან, ამასთანავე უკეთუ დარღვეულ იქმნა რიგი და უშიშრობა—მიიღოს ღონისძიება მათის დაუყოვნებლივ დადგენებისათვის, ვიდრე მოახდენდეს პოლიცია ამაზედ განკარგულებასა;

3) შეიპყრობდეს უბრალოდ მოხეტეთა და გამოქცეულთა კაცთა, ეგრეთვე გამოპარულთა სალდათთა (დეზერტირთა), და წარუდგენდეს მათ მთავრობასა;

4) მოახსენებდეს მთავრობასა გლეხთა გამო, რომელთაც თავიანთ ნებით დაუტეეებიათ საზოგადოება, ეგრეთვე მოახსენებდეს მთავრობასა, უკეთუ შეცოდვილება ანუ ურიგობა რამ მოხდა საზოგადოებაში.

5) მოაშველებდეს შემწეობასა დიდთა და უეცართა შემთხვეევათა შინა, ესე იგი: დროსა ცეცხლის გაჩენისა, წყლის მოვარდნისა მსვრელის სენისა, საქონლის ჭირისა და სხვათა ამ გვართა საზოგადოობითთა უბედურებათა, და ფიცხლავ მოახსენებდეს მთავრობასა, თუ ესრეთი შემთხვეევა რაიმე აღმოჰსჩნდა სოფლის საზოგადოებაში;

6) მიიღებდეს დაწესებულთა პოლიციის ღონისძიებათა ასაცილებელად ყოველ გვართა შეცოდვილებათა და დანაშაულობათა; ხოლო უკეთუ მომხდარა რაიმე შეცოდვილება—შეინახავდეს იმის კვალსა, აღმოაჩნდეს და შეიპყრობდეს დამნაშაეთა და წარუდგენდეს მათ, ჯეროვანის განკარგულებისათვის, მთავრობასა, და

7) მოიყვანდეს აღსრულებაში, როდესაც კანონი მოითხოვდეს, სოფლის სასამართლოს გარდაწყვეტილობათა, ეგრეთვე საზოგადოთ სამსჯავროთ განაჩენთა.

შენიშვნა. მებატონის მამულის სამძღვართა შინა, სადაც დასახლებულ არიან დროებით-ვალდებულნი გლეხნი, სოფლის მამასახლისი აღასრულებს დაუყოვნებლივ მებატონის მოთხოვნილებასა, რომ დაეხმაროს და დაიფაროს როგორათაც თვით მებატონე და იმისი სახლობა, ეგრეთვე ყოველნი მამულში მცხოვრებნი პირნიცა ცეცხლ-მოკიდებისაგან, თულობისაგან, ტაციობისა, ქურდობისა და ძალადობისაგან, გარდა ამისა დაცულ ჰყოს მებატონე და ქონება იმისი, ეგრეთვე ყოველნი იმის მამულში მცხოვრებნი პირნი საშიშართა და უბედურთა შემთხვეევათა შინა, ესე იგი დროსა ცეცხლის გაჩენისა, წყლის მოვარდნისა, მსვრელის სენისა, და მიიღოს ღონისძიება მოსასპობლად ამა და სხვათა მზგავსთა უბედურებათა. ამისათვის, საშიშ დროში, სოფლის მამასახლისი უნდა გამოცხადდეს დასახმარებლად მოწოდებამდინაც მებატონისაგან.

25. სოფლის მამასახლისი ვალდებულია, სასოფლოთა საქმეთა გამო, სოფლის მმართველობის უწყებასა შინა:

1) მოუწოდდეს და დაითხოვდეს სოფლის ყრილობასა და დაიცვავდეს ჯეროვანსა ყრილობაში რიგსა;

2) წინადაუდგებდეს განსახილველად ყრილობასა ყოველთა იმა საქმეთა, რომელნიც შეეხებიან სოფლის საზოგადოების საჭიროებასა და სარგებლობასა;

3) მოიყვანდეს აღსრულებაში სოფლის ყრილობის გარდაწყვეტილობათა, აგრეთვე მთავრობის განკარგულებათა;

4) თვალი ეჭიროს როგორათაც ნაცვლებზედ, სადაც იქმნებიან ნაცვლები დაყენებულნი, აგრეთვე ყოველთა სხვათა მოხელეთა პირთა-ზედაცა, რათამცა აღასრულებდენ იგინი სისწორით თავიანთ ვალდებულებათა;

5) თვალი ეჭიროს, რომ იყვნენ მოუშლელად მიჯნები და მიჯნის ნიშნები მიწათა ზედა, როგორათაც კუთვნილთა გლეხთადმი საკუთრებად, ეგრეთვე მყოფთაცა იმათს სარგებლობაში;

6) თვალი ეჭირიოს, რომ იყვნენ რიგზედ შენახულნი იმავე მიწათა ზედა გზები, ხიდები, ბოგირები, რუები, წყალში გასაყვან-გამოსაყვანი ნავები, და სხვანი;

7) თვალი ეჭიროს რიგზედ აღსრულებისათვის გლეხთაგან ყოველთა სახაზინოთა, სათემოთა და სასოფლოთა გარდასახადთა, როგორც ფულად, ეკრეთვე ბეგრით;

8) აასრულებინებდეს პირობათა და შეკრულობათა გლეხთა როგორათაც ერთმანერთში, ეგრეთვე გარეშე პირთა-თანაცა, როდესაც ამ გვართ შეკრულობაებათ უარს არა ჰყოფენ გლეხნი;

9) ჰქონდეს ზედამხედველობა, რომ იყოს რიგი დაცული სასწავლებელთა შინა, სნეულთ და ღარიბთ მისაღებთა სახლთა და სხვათა ამ გვართა განწესებულებათა შინა, თუ რომ ესენი გამართულ არიან სოფლის საზოგადოებისაგან თავისის საკუთრის ხარჯით;

10) ჰქონდეს ზედამხედველობა სამიკიტნოებზედ, აგრეთვე უყურებდეს, რომ სოფლის სავაჭრო ადგილებში იხმარებოდენ სწორე სასწორები და საწყაოები;

11) ჰბეჯითობდეს, რომ, როდესაც მთავრობამ მოითხოვოს, კამერალნის სიები თავის დროზედ და სისწორით შედგენილ-იქმნენ და წარჰსდგენ კიდეც ვისდამიცა ანუ სადაცა ჯერ-არს;

12) როდესაც გლეხთ მოითხოვონ დაწესებული ბილეთები და ბაშფორთები სხვაგან წასასვლელად, ანუ მოითხოვონ სრულიად საზოგადოებიდგან დათხოვნა,—მისცემდეს მათ ჯეროვანთა მოწმობათა, რომ ამაზედ დაბრკოლება არა არის რა;

13) განაგებდეს, რიგითა თვით საზოგადოებისგანვე დაწესებულითა, სასოფლოს ქონებათა და ფულთა; ზედამხედველობდეს იქ, სადაც დადგინებულ არიან სასოფლო პურის მაღაზიები, რათა შენახულ იყოს მთლად სასოფლო პური, და თვით განკარგულებაცა ამ პურზე მოჰხდებოდეს სისწორით, და

14) შეანახვინებდეს დაზოგვით და გაფთხილებით იმ გლეხთ ქონებასა, რომელიც არის შეკრული ანუ ჩამორთმეული იმათგან ხარჯისა ანუ გარდასახადისა ურიგოდ ძლევისათვის.

შენიშვნა 1. ვიდრე გლეხნი ყმობიდგან გამოსულნი იმყოფებიან ვალდებულებითს დამოკიდებულებაში მებატონესთან, რომლისაც მამულზედ ისინი დგანან, სოფლის მამასახლისმა უნდა ართვას გლეხთა, მებატონის სასარგებლოდ, შესახვედრი გარდასახადი, თანახმად მებატონის მოთხოვნილებისა, რომელიც დაფუძნებულ იქმნება ტფილისის გუბერნიისათვის გამოცემულს ადგილობითს წეს-დებაზედ, და ერთობ დაუყოვნებლივ აასრულებდეს მებატონის კანონიერთა მოთხოვნილებათა, და თუ არ აღასრულა—თვით იქმნება პირის-პირ პასუხის გამცემი.

შენიშვნა 2. სოფლის მამასახლისს შეუძლია აძლიოს ყველა უწყებათა გლეხთა, სოფლის საზოგადოებაში შერიცხულთა, არა თუ მარტო მოწმობაები მისაღებელად ადგილობითის ხაზინიდგან ბაშფორთებისა და ბილეთებისა სხვაგან წასვლისათვის (ნახე 12 პუნკტი ამ მუხლისა), გარნა თვით ბაშფორთებიც და ბილეთებიც, იმ კანონებით, რომელნიც იქმნებიან საკუთრივ ამაზედ გამოცემულნი; ამის გამო, მამასახლისთ აქვსთ ნება იყიდვიდენ ხაზინიდგან, ფულით, ბაშფორთის ბლანკებს და ღერბიან ქაღალდებს ბილეთებისათვის იმ ზომით, რაოდენსაც შეიძლებენ და რაოდენიც საჭიროდ იქმნება მოთხოვნილებისამებრ. ანგარიში ამაზედ შეიძლება ზედ-დაერთვას სხვათა სასოფლოთ ხარჯთა ანგარიშსა.

26. სოფლის მამასახლისი მოვალეა აღასრულებდეს უარის-უყოფელად ყოველთა კანონიერთა მოთხოვნილებათა პოლიციის მთავრობისათა და სხვათა დაწესებულთა სასამართლოთა ადგილთა და პირთა, იმათ უწყებათ საქმეთა გამო.

27. სოფლის მამასახლისსა აქვს უფლება, მცირეს დანაშაულობისათვის, რომელშიაც აღმოჰსჩნდებიან პირნი, იმის უწყებას ქვეშ ძალითა 23-ს მუხლისა მყოფნი, გარდაახდევინოს დამნაშავეთა ესრეთ: დანიშნოს სასოფლოს რაისამეს მუშაობაზედ არა უმეტეს ორის დღისა, ანუ გამოართვას ჯარიმა ვიდრე ხუთს აბაზამდინ, ანუ დაატუსაღოს არა უმეტეს ორისა დღისა. უმაღლესის ზომის გარდახდევინება დაწესდება სოფლის სასამართლოსაგან (ნახე მუხლი 40).

28. სოფლის მამასახლისი ვალდებულია, დიდთა საქმეთა აღსრულების დროს, ესე იგი: როდესაც უნდა გარდაახდევინოს ვისმეს როგორათაც პოლიციური, ეგრეთვე სოფლის სასამართლოსაგან ანუ ურილობისაგან დაწესებული რაიმე გარდასახადი, როდესაც უნდა განსჩხრიკოს გლეხების სახლები და შენობაები, როდესაც უნდა შეიპყრას ანუ დაატუსაღოს ვინმე, როდესაც უნდა მიიღოს ხარჯის მომკრეფისაგან და ახმაროს რაზედმე სასოფლო ფული,—უეჭველად დაისწროს ორი მოწამე, უფრო სოფლის მოხუცთაგანნი. ესრეთივე წესი, შეძლებისამებრ, უნდა აღსრულდეს წინაგამოძიების დროსაც დანაშაულობათა და შეცოდვილებათა გამო.

შენიშვნა. როდესაც სოფელი მცირე-ხალხიანია, ანუ როდესაც სოფელში ჰშთებიან ცოტანი გლეხნი, მამასახლისს შეუძლია ამ საგანზედ მოუწოდოს მოწმები მახლობელთ სოფლის საზოგადოებათაგან.

29. მამასახლისის თანა-შემწენი ანუ ნაცვლები აღასრულებენ ყოველთა მამასახლისის ბრძანებათა და, გარდა ამისა, უბრძანებოთაც, მოვალენი არიან დაეხმარებოდნენ მამასახლისსა ყოველთა მისთა მოვალეობათა აღსრულებაში. იქ, სადაცა ნაცვლები ამორჩეულ არიან მომცრო სოფელთაგან ანუ კერძობითთა გლეხთ საზოგადოებათაგან, ნაცვლები დაიხმარებიან მამასახლისისაგან საქმეთა გამო ნამეტნავად იმა სოფელთა ანუ კერძობითთა საზოგადოებათა, რომელთაგანაც არიან ისინი ამორჩეულნი.

30. პირი, რომელიც დაინიშნება ხარჯის მომკრეფად, აასრულებს შემდგომთა მოვალეობათა:

1) მოაგროვებს მდებარეთა გლეხებზედ ხარჯთა და ყოველთა დაწესებულთა გამოსართმევთა, ეგრეთვე დარჩენილსაც ასაკრეფელად ფულსა;

2) დაიცავს ანგარიშსა მიღებულის ფულებისას;

3) დაიჭერს თვალსა, რომ ყოველმა კომ-

ლმა შემოიტანოს დაუნარჩუნებლივ შესახვედრი მისდა ფული;

4) შეინახავს შემოტანილს გლეხთაგან ფულსა, ვიდრე წარადგენდეს იმასა ვისდამიცა ჯერ-არს, იმ ადგილში და იმ რიგით, რომელნიცა დაწესებულ იქმნებიან სოფლის ურილობისაგან;

5) შეიტანს, მიღებულის რიგით, უეზდნის ხაზინაში მოგროვილთა ხარჯთა და სხვა ფულთა და გამოართმევს ჯეროვანს შეტანისათვის კვიტანციასა;

6) წარუდგენს სოფლის ურილობას ანგარიშსა შემოტანილთა გლეხთაგან ფულთა გამო;

7) წარუდგენს სოფლის ურილობასა, თუ ვისზედ დარჩა ფული შემოუტანელი, მოსახდენელად განკარგულებისა, რათა გამოერთვასთ ეს ფული, და

8) მიჰსცემს ყოველთა სახლის-მეუფროსეთა გლეხთა ჯეროვანსა ფულის მიღების დარწმუნებასა, როგორც რა რიგია მიღებული საზოგადოებაში.

31. ვალდებულებანი დანარჩენთა მოხელეთა პირთა, ესე იგი: გზირთა, მეველეთა, მერუეთა და სხვათა, განცხადდებიან თვით იმათისავე წოდებითა ანუ ხელობითა.

(შემდეგი იქნება).

არა ოფიციალური ნაწილი.

საოჯახო ნაწილი.

ნაცრით ვაზის ავათ-მყოფობის მორჩენა.

რაც საქართველოში ვაზის ავათ-მყოფობა გაჩნდა, ჩემს ბაღში ტფილისში ვაზს არ მოშორებია ეს სენი. ამიტომაც ამ ხუთის წლის წინათ, ჩემს მებაღეს ეუბძანე, რომ სულ ძველი ვაზები დაეჭრა და შეესვენებინა მიწა. ამ მიწაზედ რამდენიმე წლის შემდეგ მსურდა დამერგა ახალი ვაზები. ეს ჩემი ბძანება ჩემმა მებაღემ მთლათ არ აასრულა:—იმან თუმცა დასჭრა ვაზები, მაგრამ ზოგიერთი გაუშვა, რომლებიც ხეიანზედ იდგნენ და აჩრდილებდნენ. 4 წლის შემდეგ რაც მე ეუბრძანე, 1865 წლის შემდგომს, მე დავიწყე ახალი ვაზების დარგვა იმ ალაგს, სადაც მსურდა ახალი ვაზი გამეჩინა, შევამუშავე ცხენის სასუქის მაგიერ, ხის ნაცრით, რადგანაც ნაცარი უფრო უმეტესს სასუქს შეიცავს, ვიდრე ცხენის სასუქი.

მინამ ახალ ვაზს დავრგავდი, მოვათხრევინე ბაღში არხები, რომლებსაც ჰქონდათ ნახევარი არშინი სიღრმე და ერთი ჩარექი სიგანე. იმ არხებში დავაწყვინე ვაზები და ზეიდგან დავაყარე ნაცარი და ამაზედ კიდევ კარგათ სქლათ მიწა. ზოგიერთი ამ არხებისა ძველ ვაზებთან მოვიდნენ.

1866 წელს, ზაფხულს შევამჩნიე, რომ იმ ძველ ვაზებს, რომლებსაც 15 წლის განმავლობაში აჩნდებოდათ ავათ მყოფობა და არ მოუციათ საღი ყურძენი, ავათმყოფობა აღარ გამოაჩნდათ და მოისხეს სრულებით საღი და კარგი ყურძენი. სხვა ვაზები კი, რომლებთანაც არხები მოშორებით იყვნენ, ადრინდელივით ავათმყოფობა გამოაჩნდათ და დაისხეს ცუდი ყურძენი. ამ შემთხვევამ მე ძალიან დამაფიქრა.

ურძნის ავათ მყოფობა არის ძალიან პატარა (მიკროსკოპიული) და ძველათ შესანიშნავი სოკო (Pelzen, Oidium), რომელიც გარედგან შემოეკერება მკვახე ყურძენს და არ აძლევს ნებას, რომ რიგიანათ გაიზარდოს და თავის დროს დამწიფდეს. ამიტომაც ყურძნის მარცვალი, ვიდრე დამწიფდება, სქდება და ფუჭდება.

ნაცარი შეიცავს: 1) სხვა და სხვა ნაწილებს, რომელნიც წყალში არ გაიშლებიან; 2) ნაწილებს, რომლებსაც წყალი ვერ დაშლის, მაგრამ მჟავეულობა კი დაშლის. მაგალითა: მელი და 3) ნაწილებს, რომლებიც არც წყალში და არც მჟავეში არ გაიშლებიან, თუ არ ნაცარ-ტუტში და სოდაში. ეს ამ სამ ნაწილებიდგან შესდგება ნაცარი, საიდგანაც ყველა მოსავალი ანუ მცენარე იზრდება.

როდესაც კაცის სხეულს მოაკლდება ის ნაწილები, რომელნიც აძლევენ ყუათს, მაშინვე ამის გაელენა გარედგან გამოაჩნდება და ტანზე დაეყრის ხოლმე მუწუკებივით. აგრეთვე. როდესაც დედამიწას მოაკლდება ხოლმე ის ნაწილები, რომლებიც მალე იშლებიან, დაასუსტებს ხეხილის გაზდას და უეჭველია, რომ აქედგან წარმოსდგება ის სკოკ, რომელიც ვაზს აჩნდება.

მე ბეჯითად არა ვარ დარწმუნებული, რომ ეს ჩემი ნაცადი უებარი წამალი იყოს ვაზისა და უეჭველათ მოარჩენდეს იმის სნეულებას, მაგრამ როგორც შემთხვევამ გვიჩვენა, ვგონებ, შესაძლებელი იქნება ამ საშუალებით, თუ რომ ვაზი სრულებით არ მოორჩა, შელავათი მაინც მიეცეს. ამიტომაც ესთხოვ ყველა ვენახების პატრონებს, რომ, რადგანაც ამის ცდაზედ მაგდენი ხარჯი არ წავა, სცადონ ეს რჩევა, რომ მე თვითონვე შევიტყო, საიდგან წარმოსდგა ზემოთ მოხსენებული შემთხვევა ჩემს ბაღში. (*)

ნ. შ.

სასუქის შენახვაზედ.

(გაგრძელება)

ამას წინა ფურცელში ჩვენ იმაზედ ვილაპარაკეთ, თუ როგორ გამოსადეგია მეურნეობაში, (ხენა-თესვაში) სასუქი, და ცოტა მიწის პატრონს რა რიგ შემწეობას აძლევს და ბევრი მიწის პატრონის თანასწორად აყენებს. აგრეთვე ისიც ვსთქვით, რომ ჩვენში სასუქს არ ინახვენ (გარეთ, უზრუნველად დაგროვება შენახვა არ არის), და ამის გამო სასუქი თავის სიკეთეს, სინოყიერეს, თუ სრულებით არა ჰკარგავს—ბევრი კი მაინც აღარა რჩებარა. ვინც ბევრი მიწის პატრონი არ არის, და ცოტა მიწით უნდა ირჩინოს თავი და სახლობა, იმისთვის ყოველთვის საჭირო იქნება სასუქი, რადგან ეს ისეთი მასალაა მეურნეობაში, რომ მოსავლისაგან ლონე გამოცლილ მიწას—ხელმეორედ აღონიერებს და მაშასადამე იმ მიწას, რომელზედაც შარშან თესილა რამე—წელსაც მოსავლის მოყვანის შემძლეთა ჰხდის. მაგრამ რადგან რამდენიც სასუქს ძალა და ლონე მომეტებული ექნება, იმდენი რასაკვირველია უფრო კარგა გაანაყოფიერებს მიწას, და იმდენი თითონ სასუქიც. და კაცის ჯაფაც უფრო ცოტა მოუნოება, ამისთვის ყველა მხვნელ მთესველი უნდა ცდილობდეს, რომ სასუქი კარგი ჰქონდეს. სასუქის სიკეთე და სიცუდე, როგორც ამას წინაც ვსთქვით,

(*) რედაქცია თავის მხრით სთხოვს ყველა ვენახების პატრონს სცადონ ეს რჩევა და თავიანთი ცდა შეატყობინონ რედაქციას,—აი ამ აზრით სახალხოთ აცხადებს ის ამას. რედაქციას ჰგონია, რომ ეს ცდა შესაძლებელია იყოს, უმეტესათ ამიტომ, რომ რამდენსამე ვენახის მქონებლებს ქახეთში უთქვამთ, რომ ვითომც იქ ყოფილიყოს რამდენიმე მაგალითი, ნაცრით ვაზი მოერჩინოთ; მაგრამ თავი არ დაუდვიათ და რიგიანად არ აუსრულებიათ ეს საქმე.

შენახვაზედა ჰკიდია. რასაკვირველია, გარეთ რომ გამოვიტანოთ და დავაგროვოთ სადმე დაუდევნელათა და უზრუნველად-რალა ჩიჩინი უნდა, რომ რაც ნოყიერი სისველე ექნება — სულ ქარი წაიღებს და შიგ თითქმის აღარა დარჩებარა; ამისთანა სასუქისგან ბევრი არა მოითხოვებარა და იმის პატრონსაც დიდი იმედი არ უნდა ჰქონდეს იმისი; ამისთანა სასუქი ერთი სამად უნდა დააყაროს მიწას, მაშა სადამე ჯაფაც ერთი სამად მეტი მოუნდება. მაგრამ თუ ვზრუნავთ სასუქის სიკეთეზე, თუ კარგა ვინახავთ—მაშინ სინოყიერე აღარ ეკარგება იმას; ნოყიერი სასუქი კი ცოტაც ეყოფა მიწას და იმის დაყრაზე ბევრი ჯაფა და ხარჯი აღარ მოუნდება მხვნელ მთესველს. ყველა ამას რომ მოვისაზრებთ, მაშინ უეჭველად დავრწმუნდებით, რომ სასუქის მოვლა და შენახვა ძალიან სასარგებლო უნდა იყოს მხვნელ მთესველისათვის; ამისთვის მხვნელ მთესველს დიდი ყურადღება უნდა ჰქონდეს ამაზედ. ამ მიზეზით წარსული კვირის ფურცელში ჩვენ მკითხველებს ვაცნობეთ, თუ ერთი გამოჩენილი ფრანცუზი მეურნე (მხვნელ-მთესველი) რა ოსტატობით ინახავს სასუქსა და რა მოგება აქვს იმას იმ გვარი შენახვისაგან. (თავი და თავი მოგებაა ისა, რომ მუშა ცოტა უნდება და სასუქი სიკეთეს სრულებით არა ჰკარგავს). იმ ნაირი სასუქის შენახვა ეხლა თითქმის ყველა დაწინაურებულ ქვეყანაშია მიღებული, რადგან დარწმუნდნენ გამოცდილებით, რომ ყველა ნაირად შენახულზედ ისეთი შენახული უფრო დიდ მოგებას აძლევს მხვნელ მთესველს.

ახლა ისა ვსთქვათ, თუ ერთი ნემეცის გამოჩენილი მეურნე როგორლა ინახავს სასუქს.

იმას არა აქვს არც ცალკე გაკეთებული სასუქის შესანახავი და არც საქონლის შარდის მოსაგროვებელი ორმოები. ის არ უხვეტავს თავის საქონელს ათსა და თხუთმეტ კვირამდის; სასუქი გომშივე გროვდება და საქონლის ქვეშ იტკეპნება, ერთი ადლის და და ადლ ნახევრის სიმაღლეზედ. ქვეშ დაკუწვილ ნამჯას უფენს ხოლმე საქონელს—დღეში ორჯერ დილით და საღამოთი.

თუ ნამჯა დააკლდა, მაშინ ის მიწას, თივას ან სხვ. ხმ.რობს. შარდის სადენ ადგილებს გარეშემო მიწას შემოაყრის ხოლმე მტკაველ ნახევრის სიმაღლეზედ, და როცა ის მიწა შეიწოვს იმ სისველეს, მაშინ იმ შარდით გაჟინთულ მიწას იღებს და ერთ ნაირად ჰფანტავს გომში. მერე შარდის სადენებს ხელახლა შემოაყრის ხოლმე ახალ, მშრალ მიწას და როცა შადით იჟღინთება, ისევ გომში ჰფანტავს და სხვ.

იმის გომს ახურები ასაწევ-დასაწევი აქვს; რამდენიც სასუქი ემატება გომში და იატაკი მაღლდება, იმდენი ახურს აუწევს ხოლმე საქონელს. ახურამდის თავისუფლად მივა კაცი, მაშ ახურის წმინდად შენახვა ადვილია. წმინდა ჰაერის შესანახად გამართული აქვს გარეთი ჰაერის შესასვლელი ალაგები და შიგნითის გამოსასვლელი. წვრილფეხობა და ფურები დაუბმელი ჰყავს. მხოლოდ საშენებელ ბუღებსა და მუშა ხარებს აბამს. ამ დაბმულ საქონელს დღეში ორჯერ ნამჯის დაფენამდის უკანა ფეხებთან დაგროვებულ სასუქს იღებს ნახევარს ან რამდენიც საჭიროა და წინ უყრის და უსწორებს იატაკს. ამ გვარად სქელი და თხელი ნაწილები და ნამჯა ერევიან ერთმანეთში და სასუქიც ყველა ალავას ერთნაირი თვისებისა ხდება. ადგილის მოსაგებად საქონლის სადგომი ჩავარდნილია მტკაველნახევრის სიღრმეზედ ან მეტზედაც და შუა გასავალი კი ამაღლებულია ბილიკივით. როდესაც სასუქი გამოაქვს გომიდგან მაშინ იატაკზე მიწიანად მოჭრილ აგურებსავით გაბარჯღული ფესვიან პრასა ბალახსა ჰფენს, რომ ნოყიერი სისველე არ ჩაუშოს გომის იატაკში.

ამ გვარად შენახულის სასუქის სიკეთე და მოგება—როგორც ამბობს მოხსენებრლი ნემეცის მეურნე—შემდეგში შესდგება.

1. **საჭირო** აღარ არის არა ვითარი სასუქის შესანახავი ალაგის ცალკე გაკეთება, არც შარდისთვის ორმოების ამოთხრა და სხვ; მაშა სადამე მეოჯახეს არაფერი ხარჯი არ მოსდის სასუქის შენახვაზედ და მოვლაზედ.

2. **ნოყიერი** ნაწილები—თხელიცა და სქელიც—გარეთ ან სხვაგან შენახვისაგან მომეტებული ქარს მიაქვს, მაგრამ ამნაირი შენახვისაგან კი თითქმის არაფერი არ იკარგება ტყუილად.

როდესაც საქონელ ქვეშა რჩება სასუქი და იტკეპნება, მაშინ ჰაერს სასუქში მუშაობა აღარ შეუძლიან. ამისაგანა და აგრეთვე იმისაგანაც. რომ სასუქში სველი და მშრალი ნაწილები ერთნაირად არის გადარეული და ყველგან ერთნაირი სისველე აქვს, ამისაგან სასუქი აღარ იწვის, აღარა ლპება. მართალია, უწინ ამბობდნენ (ჩვენში—ეხლაც ისევ ეს აზრი აქვსთ), რომ სასუქი დამწვარი და დამპალი უნდა იყოსო, მაგრამ ეს აზრი სრულებით უსაფუძვლო და ცრუა. რაც დაულპობია, სასუქი ისა სჯობია.

ამ გვარად სასუქის შენახვის დროს სხვა ჯაფა არა სჭირდება რა მეურნეს, გარდა იმისა, რომ საქონლის ქვეშ ნამჯას ან რამეს დაუგებენ. გომიდგან პირდაპირ დასაყრელ ალაგას წაიღებენ, გაჰფანტვენ და მაშინვე მოჰხნავენ. ლპობას მიწაში დაიწყობს და ლპობის დროს რაც ჰაეროვან ნოყიერ ნაწილებს (ამმიაკს) გამოუშვებს თავისგან—სულ მიწა შეიწოვს შიგ. მაშასადამე სასუქი ტყუილად არას დაჰკარგავს და რაც სიკეთე ექნება, სულ მიწაში წავა.

3. ურემზე დადება, მინდორში გატანა, მოფანტვა და მიწაში არევა უფრო უკეთესად შეიძლება, რადგან ქვეშ საგები ნამჯა დაკუწვილია ნახმარი.

4. **რადგან** ამ გვარად შენახულ სასუქს ერთი ორად მომეტებული სიკეთე და სინოყიერე აქვს, ამის გამო მხვნელ მთესველს ერთი ორად ნაკლები საქონელი უნდა სასუქისთვის; მაშასადამე საქონლის საჭმელიც, გომიც და მომვლელები ერთი ორად ნაკლები მოუნდება.

სანატრელია, რომ ამ გვარი სასუქის შენახვა ჩვენშიაც შემოიღონ და ისე დაუდევნელად და დაუზოგავად აღარ გადაყარონ ხოლმე სანახვეზედ, სადაც ყოველიმხრით ქარი უბერავს და მიაქვს რაც ნოყიერი ნაწილებია შიგ. რასაკვირველია, ხშირად იჩივლებს ჩვენი სოფლელი, რომ „სასუქი დავაყარე, მაგრამ არაფერი უშველა ჩემ ვენახსაო.“ რამ უნდა უშველოს, თუკი რაც სიკეთე და სინოყიერე ჰქონია სასუქს—სულ ქარისაგანა და ჰაერისაგან არის წაღებული.—აქ ნათქვამის გვარი შენახვა სხვა რომ არა იყოსრა, იმითი მაინც არის სახარბიელო, რომ ბევრ მუშას არ ანდომებს სასუქის აღებ-დაღებას: სად პირდაპირ გომიდგან ვენახში ან მინდორში წაღება სასუქისა და სად გომიდგან სანახვეზედ გამოტანა (ყოველდღე) და დაყრა და მერე კიდევ სანახვიდგან ურემზე დადება და ვენახში წაღება:—ის ერთი ჯაფაა და ეს კი ორ ნაირი. ახლა სასუქის ერთი ორად უკეთესობას მიუმატოთ და გამოდის, რომ ყოველი მხრით ჩინებული ყოფილა ამ გვარად სასუქის შენა-

ხვა. მაგრამ ესეც კი უნდა ვსთქვათ, რომ მომეტებულ ნაწილს ჩვენ გომებს სანათურები (ფანჯრები) არა აქვს; ამ გვარად სასუქის შენახვისთვის გომებს რამდენიმე სანათური (ფანჯარა) უნდა ჰქონდეს, რომ ჰაერის დაწმენდა ადვილად შეიძლებოდეს; თორემ ცუდმა ჰაერმა ათასნაირი საქონლის ავადმყოფობა იცის. მაგრამ ფანჯრების გაკეთება გომებში ძნელი სულაც არ არის და არც ერთი მოფიქრებული და მოაზრებული სოფლელი ამას არ მოერიდება, რადგან აქედგან დიდი მოგება ექნება იმას.

საოჯახო ცნობები.

ყურძენს რა რიგათ არგებს გოგირდი. ფრანციაში (საფრანგეთის ქვეყანაა) დიდი ვენახები აქვთ სამხრეთის მხარესა და საუკეთესო ღვინოები იქიდამ მოჰყავთ. როგორც ჩვენ მხარეში კახეთია ღვინის დედა მხარე, ისეც ფრანციაში სამხრეთის ადგილები იმათი კახეთია. დიდი გამართულობა აქვთ, დიდ-დიდი ვენახები, ზვრები, მარნები და მთელ დედამიწის ზურგზე ადგილი არ იქნება, რომ იქაური ღვინო არ მიდიოდეს. იქაური ღვინო ჩვენშიაც კი მოდის, მეტადრე შამპანიის ღვინო, შამპანსკის რომ ეძახიან, აი ის ღვინო. ეს შამპანური ღვინო მილიონებს აძლევს იმის მომყვანებსა. იმ ადგილებში უცდიათ გოგირდი; წმინდათ დაფქული გოგირდი შეუყრიათ ზედ ვაზზე და ყურძნის მტევნებზე მანამ ნაცარი არ მოსვლია და ყურძენი უფრო დიდ მარცვლიანი მოსულა და მალეც შემოსულა, ორ კვირაზე მომწიფებულა, ყურძენი არ გაფუჭებულა და ფოთოლიც უფრო გამწვანებულა. ამასთან უცდიათ და მრთელ წაუხდენელ ვაზისთვის დაუყრიათ გოგირდი და უნახავთ, რომ რვა დღეზე ისე შეცვლილა ვაზი, რომ კაცი ვეღარ იცნობდაო. გოგირდს ყვავილის მოსვლის დროსაც ძალიან უშველია და ყვავილი არ გაფუჭებულა, და როგორცა ვთქვით ორი კვირით უფრო ადრე მომწიფებულა, მტევანი და მარცვალი უფრო გაკეთებულა.

სიცხე-სიცივეს რა გავლენა აქვს ფურის წველაზედ. თუმცა ყველა მეოჯახემ იცის, რომ ზამთარში ფურებს თბილად შენახვა უნდა, მაგრამ ამ ცოდნით ძალიან ცოტანი სარგებლობენ და ამის გამო ისინი ბევრსაც ჰკარგავენ. ამის შესახებ ერთი ნემეცის მეურნე—მეოჯახე გვაცნობებს შემდეგს: „ერთ ფურს მე განსაკუთრებითი მიზეზით ვინახავდი ცალკე გომში და კარგა ვაჭმევდი. მანამ სიცივე და ყინვები დადგებოდა ეს ფური იწველიდა დღეში შვიდ მაასს რძეს (მაასი სხვა და სხვა ზომისაა, ბოთლი ან ბოთლზე მეტი) მხოლოდ როცა ყინვები დადგა და გომში აცივდა, მაშინ იმ ფურმა უფრო და უფრო იკლო რძე და ბოლოს სამ მაას ნახევრამდის ძლივლა იწველიდა. ჯერ პირველად მე სულ ვერ მოვიფიქრე, რომ ეს რძის კლება სიცივისაგან უნდა ყოფილიყო; მე ამას ფურის მომვლელსა და ცუდად ჭმევასა ვაბრალებდი. მაგრამ როცა თითონ მე დავუწყე ყურის გდება და საჭმელსაც ჩემთვალწინ ვაძლევინებდი და მაინც რძე არ ემატებოდა ჩემს ფურს, მაშინ ვიფიქრე, იქნება სიცივის ბრალია მეთქი ეს რძის კლება და უბძანე, რომ ის ფური სხვა, საქონლით სავსე გომში გადაეყვანათ. იმ ფურს აქაც ისევე აჭმევდნენ როგორც ამას წინ და ორ დღეს შემდეგ საშინლად გაოცებული დავრჩი, რომ ჩემმა ფურმა ამ თბილ ალაგას ისევ შვიდი მაასი რძე მოიწველა. მაშინ მე დავრწმუნდი, რომ სიცივე რძეს უკლებს ფურს და ყოველთვის ვცდილობდი, რომ ზამთარში ჩემ გომებში სითბო ყოფილიყო.

ღორის საჭმელს რა გავლენა (მოქმედება) აქვს იმის ხორცის თვისებაზე. ერთი გამოჩენილი ინგლისელი მეღორე ამბობს: ღორს რომ ბაკლა აჭამონ, იმის ხორცი უგემური, მაგარი და ძნელად მოსანელებელიაო. კარტოფილით ჭმეული ღორის ხორცი უგემური, უმაძღრისი და წონაზედაც სუმბუქიაო. იონჯა ნაჭამის ხორცი მოყვითლო ფერისაა და უგემურიაო. რკო ნაჭამი ღორის ხორცი მაგარია, მაგრამ უმაძღრისი და შეურგებელიაო. ზეთის გამოხდისაგან ნარჩენი რომ აჭამონ ღორს, ხორცი ქონით გაჟინთული ექნება, მაგრამ მცირე ფასიანი. ხორც ნაჭამი ღორის ხორცი მოტკბო, საზიზღარი გემოსია და წვენიც ბევრი აქვს. რძე ნაჭამი ღორმა კი ძალიან სათუთი (ჩჩვილი) ხორცი იცის და ამასთან წონაზედაც მძიმე. ამისგამო რძით ჭმეული ღორის ლორები ძალიან ფასობენ ვაჭრობაში. რძით ამას შეუძლიან ღორების ჭმევა, ვინც ყველსა და ერბოს აკეთებს და ბევრი ძროხები ჰყავს. გამოცდილებამ აჩვენა, რომ შეიძლება მარტო რძითა კვებოს ღორი. რძეს შემდეგ კარგ თვისებას აძლევს ღორის ხორცს ყველა მარცვლიანი საჭმელი და უმეტესად სიმინდი.

ცხენის ხორცი კარგია ქათმებისა და ღორების საჭმელად. ერთ ნემეცების ქალაქის ახლოს იმყოფება ფრინველის საშენებელი, რომელშიაც ორი ათას ფრინველზე მეტია და ამის გვერდზედ ერთი სალორეც არის. იმ საფრინველესი და სალორეს პატრონი ყოველ კვირას ორ სამ ბებერ ცხენსა ჰკლავს. ცხენების ხორცს ხარშავს, ნახარშს ღორებს აჭმევს და თითონ ხორცს კი აკუწვინებს წვრილად და ქათმებს აძლევს. ძვლებსაც შაქრის ფაბრიკებზედ და სხვ. ჰყიდის. (ძვლები იხმარება აგრეთვე მიწის საპატიებლად და სასუქზედ უკეთესად ანაყოფიერებს მიწას; ამაზედ ჩვენ თავის დროს ვილაპარაკებთ). ესე შენახული ქათმები ძალიან კარგა ინახებიან და კვერცხსაც მუდამა ჰდებენ. ამ საფრინვლის პატრონს დიდი მოგება აქვს ამისთანა ვაჭრობითაო.

უზარმაზარი კიტრები. ერთმა ბოსტნის პატრონმა ასეთი კიტრის მოყვანა იცის, რომ მართლა გასაკვირველია. საქვეყნოთ გამოფენაში ინგლიზის ქვეყანაში, ლონდონის ქალაქში წარმოადგინა სამი კიტრი: ერთი ყველაზე დიდი იყო ერთი არშინი (ერთი რუსული ადლი) და ჩარექ ნახევარი; მეორე და მესამე ამაზე ცოტა ნაკლებები იყო მაგრამ არშინზე მეტები კი იყო. ყველაზე პატარა კიტრი იწონდა ხუთ გირვანქა ნახევარსა, დიდი კი იწონდა—რვა გირვანქა ნახევარსა. ეს კიტრი მოეყვანა ორი კიტრის ჯიშის თესლისაგან, რომელიც ინგლისის ქვეყანაში ძალიან უყვართ; ამ ჯიშს ეძახიან British volunteer და invicible.

— რა ნიშნით შეიძლება შეიტყოს ცხენის წლოვანობა. როდესაც ცხენი რვა წლისა შესრულდება, მაშინ თვალის ქვეით ქუთუთოს ნაწიბურზე ერთი ნალოჭი (ჭმუჭნი) გამოაჩნდებაო. გვარწმუნებენ, ვითომც ამას შემდეგ რამდენი წელიწადიც გადის, იმდენი ნალოჭიც (ჭმუჭნიც) ემატებაო ცხენს იმავე ალაგას.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 9-го іюля 1868 г. ს. მელიქიშვილის და კომპ. სტამბაში. რედაკტორი და გამომცემელი. გ. წერეთელი.